

ქთიმეან გიგაშილი

ქვემოთ კატეგორიის წარმოების წომიერთი საკითხი
საშუალო ქართულში

მორფოლოგიურ კატეგორიათა გამოხატვის თვალსაზრისით საშუალო ქართული რამდენადმე სხვაობს ძველი და ახალი ქართულისაგან. გამონაკლისს არც ქცევის კატეგორია წარმოადგენს. ხშირად ზმნები აქ განსხვავებული წარმოებით გვხვდება. მაგალითად, ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად ხშირია **ი-** პრეფიქსიან და უპრეფიქსო ფორმათა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები, განსხვავებით თანამედროვე ქართულისაგან, სადაც ქცევის ამა თუ იმ სახის გამოხატველ ზმნებთან ფაქტობრივად განსაზღვრულია წარმოების ტიპი. მაგ., შუა საუკუნეების ძეგლებში **ვიცან** ფორმის პარალელურად ჩვეულებრივ იხმარება **ვსცანი** ფორმა (ცნობილია, რომ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო **ვიცი, ვიცანი** ტიპის ზმნებს ა. შანიძე უქცეოდ მიიჩნევს (ა.შანიძე, 1973, გვ. 346). მაგალითები:

„ერთი კაცი მათ სხუათა პატრონად ვ ი ც ა ნ (ამირანდ., 11,8); შდრ.: ვ ს ც ა ნ (ვ ც ა ნ R) LR).

ცან ძირით მხოლოდ **შეცნობის** მნიშვნელობა არ გამოიხატება, არამედ **გამოცნობისაც** და ამ შემთხვევაშიც შეიძლება შეგვხვდეს უპრეფიქსო ფორმა:

„თუთი გ ა მ ო ს ც ა ნ, ისი კაცი ვინ არისო“ (იქვე, 644, 4-5).

ნახ- ძირის შემცველი **გადა-** ზმნისწინიანი ფორმა თანამედროვე ქართულში **ი-** პრეფიქსს გვიჩვენებს, ხოლო **მო-** ზმნისწინიანი უპრეფიქსოდ წარმოადგება, საშუალო ქართულში **გადა-** ზმნისწინიანი ფორმა ძირითადად უპრეფიქსოდ იხმარება, ხოლო **მო-** ზმნისწინიანი **ი-** პრეფიქსს გამოავლენს:

„ტურფანი ოდენ გ ა რ დ ა ვ ნ ა ხ ე ნ ი თ“ (იქვე, 337 5);

„დავიწყეთ ნახვა საჭურჭლეთა და გ ა რ დ ა ვ ნ ა ხ ე ნ ი თ მრავალთა დღეთა“ (იქვე, 337, 3);

„ჩუენ რა ეგეთი ბედითი საქციელი მ ო ვ ი ნ ა ხ ე თ მის კაცისაგან, გაგუიკუირდა“ (იქვე, 97,12).

„მერმე რა ეგე მ ო ი ნ ა ხ ა ჭენტა მეფემან, უბრძანა ლაშქართა“ (იქვე, 453,9); შდრ.: რა ნ ა ხ ე ს Q.

„ჩემი ხელმწიფის შვილის ალაგს...ბატონის ვახუშტის წახდენა მ ო ვ ი - ნ ა ხ ე“ (ქართ. ებ. წყ., 33, №15).

ვცდი, შევძლებ ზმნები დღეს მხოლოდ ამგვარი (resp. უპრეფიქსო) წარმოებით გვხვდება, სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები მათ არ მოეპოვებათ. საანალიზო ძეგლებში ამ ფორმათა პარალელურად ხშირია **ი-** პრეფიქსიანი წარმოებაც:

„მით არა მოგაკსენეთ, გ ა ვ ი ც დ ი დ ი თ ჭაბუკობასა შენსა“ (ამი-

რანდ., 604, 12); შდრ.: ვ ც დ ი დ ი თ G.

„არცა მორკინალთა ვერკინები და ძალსა ვ ი ც დ ი, არცა მსუმელთა თანა ვიხარებ“ (ვისრ., 235, 8-9).

„ვერცა მისსა ბრძოლასა შ ე ვ ი ძ ლ ე ბ თ ო“ (ამირანდ., 739, 2).

დამიპატიე ფორმას ორპირიანის მნიშვნელობა აქვს და **დამპატიე** ფორმის მონაცვლედ იხმარება:

„მერმე ნულარ და მ პ ა ტ ი ყ ე ბ თ ო“ (იქვე, 292,8); შდრ.: და მ ი - პ ა ტ ი ყ ე ბ თ ო N.

დაიცავს ზმნა მხოლოდ ფორმით არის სათავისო ქცევის გამომხატველი, რეალურად იგი ნეიტრალური ქცევის შინაარსის შემცველია (ნეიტრალურს ჩვენ ე.წ. საარვისო ქცევას ვუწოდებთ. ქ.გ.). საანალიზო პერიოდის ენაში ფორმა და შინაარსი ძირითადად ერთმანეთს შეესატყვისება, თუმცა უკვე **ი-**პრეფიქსიანი ფორმებიც გამოიყენება:

„ერთსა მ ც ა ვ ს ერთი სამეფო, ბევრჯერ ათასი გამირები“ (ვეფხ., 1286, გ); ს ც ა ვ ს I,

მ ც ვ ა ვ ს წ. ხელნაწ.

„მუნამდის მგზავრნი ვართ, ვირემდის ვისსა რამინისაგან და ვ ს ც უ ი - დ ე თ“ (ვისრ., 153, 7-8).

„გუამი იგი პატიოსანი დიმიტრი მეფისა და ა ც ვ ე ს მრავალ დღე“ (ქ. ცხ., II, 292, 1-2); შდრ.: და ი ც ვ ე ს cet.

„და ა ს ც ა ვ ს ყრმასა... და და ი ც ა ვ ს ყოვლისა მოწამლვისაგან“ (კარაბ., I, 114, 1-2).

რასაც აღნიშნავს **ვიცან**, ან თუნდაც **გამოვიცან**, **შევიძელ** ზმნები, იმავეს აღნიშნავს **ვსცან**, **გამოვსცან** და **შევიძელ** ზმნები, ანუ, **ვიცან**, **გამოვიცან** და **შევიძელ** არ ნიშნავს თავისთვის **შეცნობას**, **გამოცნობას** და **შექლვებას**, ხოლო **ვსცან**, **გამოვსცან** და **შევიძელ** — სხვა პირისთვის. წარმოების ორივე — **ი-**პრეფიქსიანი და უპრეფიქსო — შემთხვევაში ნეიტრალური ვერსია გამოიხატება. ასევე სათავისო ქცევის ფორმით არის წარმოდგენილი **ვიბეზღებ** ზმნა, რომელსაც რეალურად ნეიტრალური ქცევის გავება აქვს:

„მე თვით წავალ და მათ ვ ი ბ ე ზ ლ ე ბ“ (ამირანდ., 177,3-4,Q).

„მე მივიღე, ვ ი ბ ე ზ ლ ნ ე და მოგუარნე“ (იქვე, 177,6-7).

შეინიშნება **მღერს / იმღერს**, **პოვა / იპოვა** რიგის ფორმათა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები:

„ი მ ლ ე რ დ ე ს მგოსანნი“ (იქვე, 332, 4). შდრ.: მ ლ ე რ დ ე ს O.

„რა გაზაფხული მოვიდეს, დღენი დათბეს და ჰაერი დაამდეს, მუნ მიმავალთა მგზავრთა დიდად ჰ პ ო ე ბ“ (ვისრ., 275, 31-3; შდრ.: ი პ ო ვ ე ბ ე ნ ABCDEFGKLN P.

ნ. მარის აზრით, **ი-**პრეფიქსი („მახასიათებელი“) ზმნას უკუქცევითობის მნიშვნელობას ანიჭებს, იგი უფრო მკვეთრად გამოხატავს მისი (ე. ი. ზმნის) შინაარსის სუბიექტურ აღქმას (ნ. მარი, 1925, 136-137). არნ. ჩიქობავა რეფლექსივის, უკუქცევითობის მნიშვნელობას **ი-**პრეფიქსის ამოსავალ ფუნქციად ვარაუდობს (არნ. ჩიქობავა, 1967, 47). **ი-**პრეფიქსს უკუქცევითობის ნიშნად მიიჩნევს აგრეთვე ბ. ჯორბენაძე და თვლის, რომ ე.წ. მედიალურ, საშუალ

ფორმებში იგი თავიდანვე იყო და შემდგომ დაიკარგა. მოჰყავს ძველი ქართულის მაგალითები — **ისტუნეს** (ახლა: **სტვენს**), **იბრდღუნეს** (**ბრდღვინავს**), **იმარხავს** (**მარხულობს**), **ილოცავს** (**ლოცულობს**), **ილაღადებს** (**ლაღადებს**), **იმრუშებს** (**მრუშობს**), **ინადირებს** (**ნადირობს**) და ა.შ. ანალოგიური ვითარება შენიშნულია სხვა ქართველურ ენებშიც. აღნიშნულ ფორმათაგან ზოგმა უბრალოდ დაკარგა **ი-** პრეფიქსი და სხვა მხრივ ცვლილება არ განუცდია (**გლოვს / იგლოვს**, **ხმობს / იხმობს**), ზოგმა ნიშნის დაკარგვასთან ერთად მოდელიც შეიცვალა (**იჩქარის / ჩქარობს**, **ინანის / ნანობს**), ზოგმა ნიშანი შეინარჩუნა, მაგრამ სხვა მხრივ იცვალა ფორმა (**იცონის / იცონებს**), ზოგიც ძველი ფორმით შემორჩა (**ისწრაფვის**). რიგ შემთხვევებში **ი-** პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები დროული თვალსაზრისით დაუპირისპირდა ერთმანეთს (**სტვენს / ისტვენს**) (ბ. ჯორბენაძე, 1983, 81).

ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ **ი-**, როგორც „ახლო წარსულის“, „ახლო მყოფის“, „ახლო მდებარის“ გამომხატველი ფორმანტი, დაკავშირებული იყო სუბიექტთან, სასუბიექტო ქცევასთან (ქ. ლომთათიძე, 1957, 318-319). მ. მაჭავარიანი **ი-** პრეფიქსს მთქმელისკენ ორიენტირებული მოქმედების, მთქმელის მიერ თავის თავზე განხორციელებული მოქმედების გამოხატვის ფუნქციას მიაწერს (მ. მაჭავარიანი, 1980, 40-42). გ. ნებიერიძე მას ვნებითი გვარის ზმნებში ქცევის ნიშნად განიხილავს (გ. ნებიერიძე, 1976, 133-144).

შეიკაზმა, შეიყარა, დანიშნა, იძებნა, გამოიცადა ზმნები **ი-** პრეფიქსიანი ვნებითებია, რომელთა შესაბამისი კონვერსიული მოქმედებითაც **შეიკაზმა, შეიყარა, დანიშნა, მოძებნა, გამოსცადა** ფორმებია. **ი-** პრეფიქსიანი ვნებითებისა და მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმათა გარჩევა ზოგჯერ ძველ ქართულშიც ჭირდა. ზმნის მნიშვნელობას კონტექსტი არკვევდა. შემდგომში **ი-** პრეფიქსიან ფორმებს მოქმედებითის შინაარსის გადმოცემა დაეკისრათ, ხოლო ვნებითის შინაარსის გადმოსაცემად აღწერითი ფორმები იქნა გამოყენებული (ი. ქავთარაძე, 1964, 173). საშუალო ქართულში **ი-** პრეფიქსიან ფორმებს აქტივების მნიშვნელობა ჯერ კიდევ აქვთ:

„მოიყვანა, შ ე ი კ ა ზ მ ნ ა ლაშქარნი, წინამავალნი ლაშქართა მისთანი გააჩინა ვირომან (ვისრ., 48,16-17). შდრ.: „შაჰი მოაბად შ ე კ ა ზ მ ა ლაშქარნი“ (იქვე, გვ. 48,18).

„ეგ ზომი ლაშქარი შ ე ი ყ ა რ ა ვირომან, რომელ მინდორი და ველი ვერ იტევდეს“ (იქვე, 48, 11).

„ვინ უმამოდ ცოლი დ ა ი ნ ი შ ნ ო ს“ (სამ. ძეგლ., I, 23, 188).

„ვერ ი ძ ე ბ ნ ე ს მეფეთა ქართლისათა საზღვარი“ (ქ.ცხ., I, 44, 18); შდრ.: ძ ე ბ ნ ე ს M.

„კაცი გ ა მ ო ვ ი ც ა დ ო, თუ არა მვეცთა ცოტა სიკუდილი უნდა-მეთქი (იქვე, 367, 9-10). შდრ.: გ ა მ ო ვ ს ც დ ი D, გ ა მ ო ვ ს ც ა დ ო L.

გალ- ძირის შემცველი ზმნები II სერიის მწკრივებში დღეს უპრეფიქსოდ იხმარება, ხოლო მყოფადის წრის მწკრივებში **ი-** პრეფიქსს გამოავლენს. ჩვენს ძეგლებში ასეთი ზმნები უპრეფიქსოდ შეიძლება მყოფადის წრის მწკრივებშიც შეგვხვდეს:

„პარვით გ ა ვ ლ ი ს კარვის კარსა“ (არჩ., I, 281, 35, 4).

ყო, ქმნა მეშველზმნიანი აღწერითი წარმოება ზოგჯერ ვნებითის ფორმითაც დასტურდება და, შესაბამისად, სათავისო ქცევის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ შინაარსით მაინც ნეიტრალური ქცევის გაგება აქვს:

„მოშიშმან ისტორიისა სიგრძისაგან კ მ ა-ვ ი ყ ო თქმად“ (ქ.ც II, 83, 15);

„ამისათვის ს ა თ ნ ო-ი ყ ო მეფემანცა და ყვეს ზავი და განაჩინეს საზღვარი“ (ქ.ცხ., IV, 397, 9-10).

„ქათმის ხმობა ვის ატირებს, ვინ მოძღვარი უ ა რ ი ყ ო“ (არჩ., I, 282, 51, 3).

„ვინცა უ ქ მ ი ქ მ ნ ა განზრახვა მათი“ (ქ.ცხ., II, 38, 1-2).

იგრძნო ზმნა საშუალ ქართულში ჯერ კიდევ გამოავლენს არქაულ, **ა-**პრეფიქსიან ფორმას:

„ა გ რ ძ ნ ა ძლიერება და სიდიდე სპათა“ (იქვე, 254, 19).

„ი გ რ ძ ნ ე ს თათართა დავით მეფე“ (ქ.ცხ., IV, 244, 12-13); შდრ.: ა გ რ ძ ნ ე ს **B**.

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ქცევის სახის შეცვლასთან (ნეიტრალური ფორმა სათავისომ შეცვალა), რაც ზმნით აღნიშნული მოქმედების სუბიექტისადმი მეტი განკუთვნიებით უნდა აიხსნას. **გრძნობა / შეგრძნობა** ზმნის სემანტიკით ნათელია, რომ სუბიექტმა (მოქმედმა პირმა) თვითონ იგრძნო რაღაც, თვითონ განიცადა, ე. ი., მოქმედება მთლიანად მისკენ არის მიმართული.

უ-პრეფიქსი **განუტევა** ზმნაში, საშუალი ქართულის დონეზე უფუნქციოა (ისტორიულად ამ ზმნის სამპირიანობაა სავარაუდებელი), მაგრამ **დაუტევა** ფორმაში სასხვისო ქცევას გამოხატავს:

„დ ა უ ტ ე ვ ა მეფობა ძესა თჳსსა“ (ქ.ცხ., II, 151, 5).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ **ა-**პრეფიქსიანი, ე.წ. სა-არვისო ქცევის, ფორმები ზოგჯერ კარგავენ ამ პრეფიქსს ისე, რომ შინაარსობრივი (ფუნქციური) მხარე უცვლელი რჩება: **აგზავნის / გზავნის, არგებს / რგებს, ავნებს ცნებს**, ან ერთმანეთის პარალელურად დასტურდება ერთი მნიშვნელობის მქონე განსხვავებული წარმოების ფორმები: **ყოვნის / აყოვნებს, ყუედრის / აყუედრებს...** (ძვ. ქართ.) (არნ. ჩიქობავა, 1970, გვ. 18).

ნეიტრალური ქცევის გამოსახატავად ხშირია **ა-**პრეფიქსიან და უპრეფიქსო ფორმათა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები:

„დ ა ა ს კ უ ნ ე ს ომი“ (ამირანდ., 632, 4); შდრ.: დ ა ს კ ვ ნ ე ს **DHKMORS**.

„თქუეს, ვითა არა შვილობით მეფისათა ვ ა ქ ნ ე თ“ (იქვე, 194, 1); შდრ.: ვ ქ მ ნ ე თ **OP**.

„დ ა მ პ ა ტ ი მ რ ე ბ, დამჭედ, დამღრეჯ“ (ვისრ., 172, 11-12).

„გ ა ნ ა ხ ვ ნ ე ს კარნი ქალაქისანი“ (ქ.ცხ., II, 100, 15-16; შდრ.: გ ა ნ ხ უ ნ ე ს **T**.

„ყოველი გ ა ნ ზ ა ვ ა ყოვლითა“ (იქვე, 148, 6-7).

„უამ ყოველ გ ა ნ ზ რ ა ხ ე ბ დ ე ს მეფესა განტევებასა სჯულიერისა მის წმიდისა ქორწინებისაგან“ (იქვე, 389, 28-29).

„ესრეთ გ ა ნ გ ა ზ რ ა ხ ე ბ, რათა ვიქმნე მე, ვითარცა პატრონი“ (იქ-

ვე, 197, 14-15); შდრ.: გ ა ნ გ ზ რ ა ხ ე ბ თ.

„აწ ამას გ ა ნ გ ა ზ რ ა ხ ე ბ, წარსწყმიდე ძე მეფისა“ (იქვე, 245, 11); შდრ.: გ ა ნ გ ზ რ ა ხ ე ბ **RT**

„გ ა ნ ა მ ზ ა დ ნ ა საბრძოლველნი და მანქანანი“ (იქვე, 13, 23); შდრ.: გ ა ნ მ ზ ა დ ა **M**, გ ა ნ მ ზ ა დ ნ ა **V**.

„გ ა ნ მ ზ ა დ ე ს ქორწილი“ (იქვე, 37, 5); შდრ.: გ ა ნ ა მ ზ ა დ ე ს **V**.

„ამისთვის წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი აღრე მოგართუას და გ ა ნ გ კ რ ძ ა ლ ო ს (იქვე, 94, სქ.); შდრ.: გ ა ნ გ ა - კ რ ძ ა ლ ო ს **DFRC**.

„ამას ა კ რ ძ ა ლ ვ ი დ ა დედა თვისი აზონისგან და უთქმიდა წარსლვად სპარსეთად“ (ქ.ცხ., I, 55, 14-16); შდრ.: ჰ კ რ ძ ა ლ ვ ი დ ა **ycv**, ჰ კ რ ძ ა ლ ვ ი დ ა **b**.

„იყო ვინმე ყრმა-წული უფალი მძიმისა სენისა და მ ი მ ო ა ქ უ ნ დ ა დედასა, რათა განჰკურნოს“ (იქვე, 84, 5-6).

„მათ ერთად წოლა გ ა პ ი რ ე ს, შევლენ ხალვათსა კარავსა“ (თეიმ., I, 87, 216. 1).

უპრეფიქსო ფორმები განსაკუთრებით ხშირია „კარაბადინში“:

„ზედა ჩ ა ს ხ ა ხუთისა დრამისა წონი“ (კარაბ., I, 119, 12).

„შეჰკრიბენ ესე წამალნი და ქვისა ქოთანსა ჩ ა ს ხ ნ ე...რვა ლიტრი წყალი ზედა ჩ ა ს ხ ა და ა გ ბ ო“ (იქვე, 174, 14-16); შდრ.: „ძმრითა შ ე ჰ ბ ო“ (იქვე, 211, 35).

„ჩ ა წ უ ე თ ე შიგა“ (იქვე, 238, 35).

განხილულ პრეფიქსიან და უპრეფიქსო ფორმათა შორის სხვაობა წარმოებით შემოიფარგლება. „კარაბადინში“ დავამოწმეთ **აკურნო** ზმნა, რომელიც დღევანდელ **განკურნო** ზმნას მხოლოდ პრეფიქსით როდი უპირისპირდება. **აკურნო** საობიექტო ვერსიის გამომხატველია (იგი **უწამლო** ზმნის ბადალია), ხოლო **განკურნო** ნეიტრალური ქცევის ფორმა(ამასთან, ისინი გვარის მიხედვითაც დაპირისპირებული წყვილებია):

„ვაჟს, რომე ა კ უ რ ნ ო მას საჭამადითა სუბუქითა“ (კარაბ., II, 451-452).

ქცევის მიხედვით ოპოზიციურ წყვილს ქმნის ამავე ძეგლში დადასტურებული **აჭუელდეს / იჭუელდეს** ფორმებიც:

ღვინ ი ჳ უ ე ლ დ ე ს და ბაღმბიანსა ნერწყუსა ამოყრიდეს, ესე წამალი კეკელია“ (კარაბ., I, 105, 26-27).

„ღინ ი ჳ უ ე ლ დ ე ს გრძელით ჟამითგან“ (იქვე, 184, 37).

შდრ.: „ა ჳ უ ე ლ ე ბ დ ე ს და აქმინებდეს, ყუელასა უშუელის“ (იქვე, 225, 29-30)

„ქერქის წყალი მიეც შაქრითა და ნუშის ზეთითა, რომე ნამეტნავად ა ჳ უ ე ლ დ ე ს“ (კარაბ., II, 478, 39-40).

უნმო / იხმო ზმნებს შორის სხვაობა თანამედროვე ქართულში არა მხოლოდ ფორმალური, შინაარსობრივია. **უნმო** გარდაუვალი ზმნაა, **იხმო** — გარდამავალი. საშუალო ქართულში დასახელებული ზმნები ერთმანეთისაგან

მხოლოდ წარმოებით განსხვავდება: ორივე გარდამავალია და **უ-/ ი-** პრეფიქსებიც, შესაბამისად, ქცევის მიხედვით ოპოზიციურ ფორმებს ვერ ქმნის:

„პაემანსა ზედა მივიდა შაპრო და უ ხ მ ო ძე თჳსი ვირო“ (ვისრ., 41, 5-6); შდრ.: ი ხ მ ო BCL.

„უ ჳ მ ნ ა მასვე წამსა მწიგნობარნი და გულისაგან ნავლისაებრ სიტყუა ამოყარა“ (იქვე, 47, 28-29).

„თავ-თავისი ლაშქარი უ ხ მ ე ს“ (იქვე, 48, 11).

თეიმურაზ I-თან შეგვხვდა ასეთი ფორმა—**ამბე**:

„გაზაფხულმან ეგრე უთხრა: ცუდი ა მ ბ ე ეგ ამბები“ (106, 59, 1). **ი-** პრეფიქსის უქონლობა აქ მარცვალთა რაოდენობით უნდა იყოს გამოწვეული.

საანალიზო პერიოდის ენაში დასტურდება **აქვს** ზმნის სათავისო ქცევის დიალექტური ფორმა, ცხადია, სუბიექტური წყობისა:

„თუ ფესვი ხესა არ ებას, ნაყოფს რით მ ო ი ქ ო ნ დ ე ს ა“ (არჩ., I, 97, 4, 3).

„ამ წესით უნდა უნდოდეს, ვინცა რასა მ ო ი ქ ო ნ დ ე ს“ (იქვე, 106, 80, 1).

შესწავლილმა მასალამ წარმოაჩინა ქცევის კატეგორიის წარმოების თავისებურებები საშუალო ქართულში. საობიექტო ვერსიის გამოხატვასთან დაკავშირებულ საკითხებს ცალკე სტატიამი ვეხებით (ქ. გიგაშვილი, 2007, 143-152) და აქ მასზე ყურადღება აღარ გავგიმავებებია.

ნეიტრალური და სათავისო ქცევის გამოხატვის თვალსაზრისით შემდეგი ძირითადი ნიშნები გამოიკვეთა: ა. შანიძის მიერ თანამედროვე ქართულში უქცოდ მიჩნეული ზოგიერთი ზმნა, მართალია, გამოავლენს საპირისპირო ფორმას, მაგრამ მათ შორის სხვაობა მხოლოდ წარმოებით შემოიფარგლება, სემანტიკურად ისინი იდენტურნი არიან. ასეთი წყვილებია, მაგ., **ვიცან / ვსცან (შეცნობა), გამოვიცან / გამოვსცან (გამოცნობა), შევიძელ / შევძელ** ტიპის ზმნები. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საშუალო ქართულში ფორმა და შინაარსი ხშირად ერთმანეთს არ შეესატყვისება. იგივე შეიძლება ითქვას **დამიბა-ტიყა, ვიბეზღე** ზმნებზე, სადაც **ი-** პრეფიქსი რეალურად არ გამოხატავს სათავისო ქცევას, და ნაწილობრივ **ი-** პრეფიქსიან (**შეიკაზმა, შეიყარა, დაინიშნა, იძებნა, გამოიცადა** ტიპის) ვნებითებზე, რომლებიც ზოგჯერ აქტივის (ორპირიანის) მნიშვნელობით გამოიყენება. ისინი, ერთი შეხედვით, ქცევის თვალსაზრისით, ოპოზიციურ წყვილებს ქმნიან შესაბამის უპრეფიქსო (**შეკაზმა, შეყარა, დანიშნა, მოძებნა, გამოცადა**) ფორმებთან, ვთქვათ, **შეიყარა** მან ჭარი თავისთვის (სათავისო ქცევა) და **შეიყარა** ჭარი ზოგადად (ნეიტრალური ქცევა), მაგრამ ეს ოპოზიცია საკმაოდ სუსტია, რასაც სხვადასხვა ხელნაწერში მათი ურთიერთშენაცვლების შემთხვევებიც ადასტურებს.

თანამედროვე ქართულში ზოგიერთ ზმნასთან წარმოების ტიპს ზმნისწინი განსაზღვრავს, მაგ., გვაქვს **მოვნახე**, მაგრამ **შევეინახე, გადავინახე** და ა.შ. საანალიზო პერიოდში ზმნისწინი ვერ ამყარებს ოპოზიციას **ნახ-** ძირის შემცველ სხვადასხვა ფორმას შორის. აქ ერთნაირადაა შესაძლებელი როგორც **მოვნახე**, ისე **მოვინახე**, როგორც **გადავნახე**, ისე **გადავინახე** და ა.შ. ამ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს არა მხოლოდ წარმოების, თითქოს შინაარსის

თვალსაზრისითაც უპირისპირდებიან, როგორც ნეიტრალური ვერსიის ფორმები — სათავისო ვერსიის ფორმებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს დაპირისპირებაც მკრთალია.

საინტერესოა ნეიტრალური ქცევის ფორმათა ორგვარი — **ა-** პრეფიქსიანი და უნიშნო — წარმოების შემთხვევები (**განამზადა / განჰმზადა, განანგნეს / განგნეს, განგაკრძალოს / განგკრძალოს, შეაგბო / შეჰგბო** და სხვ.), რაც ადასტურებს, რომ ენის გამომსახველობითი საშუალებები მრავალფეროვანია და იგი საჭიროებისამებრ იყენებს ამ საშუალებებს. ენის შინაგანი პოტენცია, მისი ამოუწურავი რესურსები ყველაზე უკეთ შუა საუკუნეების გადასახედიდან მოჩანს. ამ პერიოდში იკრებს იგი თავის თავში ძველი ქართულის მთელ მონაცემებს და ახალი ქართულის კონტურებსაც სრულყოფილად წარმოაჩენს. ქცევის კატეგორიის წარმოებაში მიმდინარე დუდილის პროცესიც, რაც პარალელურ ფორმათა სიმრავლეს განაპირობებს, გარდამავალი პერიოდის თავისებურებებითაა აღბეჭდილი.

ლიტერატურა

გიგაშვილი 2007 — ქ. გიგაშვილი, საობიექტო ვერსიის გამოხატვისათვის საშუალო ქართულში: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბილისი, 2007.

ლომათაძე 1957 — К. Б. Ломтатидзе, Из грузинско-абхазской грамматической встречи: Труды Абхазского института языка, литературы и истории, , XXVIII, Сухуми, 1957.

მარი, 1925 — Н.Я. Марр, Грамматика древне-литературного грузинского языка, Ленинград, 1925.

მაჭავარიანი 1980 — მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის: იბერიული-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXII, თბილისი, 1980.

ნებიერიძე 1976 — გ. ნებიერიძე, ქცევის კატეგორია ქართულში: საქ. სსრ. მეცნ. აკად. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი, 1976.

ქავთარაძე 1964 — ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში. — იკე, XIV, თბილისი, 1964.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

ჩიქობავა 1967 — А. С. Чикобава, Грузинский язык, Языки народов СССР, Т. IV, Москва, 1967.

ჩიქობავა 1970 — გარდამავალ ზმნათა ორი ტიპი და მათი ისტორიული ურთიერთობა ძველ ქართულში. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XIII სამეცნ. სესია, თეზისები, თბილისი, 1970.

ჯორბენაძე 1983 — ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი, 1983.

დამოწმებული წყაროები

ვეფხ.: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1966.

ამირანდ.: მოსე ხონელი, ამირანდარეჟიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბილისი, 1967.

ვისრ.: ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბილისი, 1962.

ასწლ. მატ.: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბილისი, 1987.

ქ.ცხ., I: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ჭაუხჩიშვილის მიერ., I, თბილისი, 1955.

ქ.ცხ., II: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ., II, თბილისი, 1959

ქ.ცხ., IV: ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ., IV, თბილისი, 1973.

ქართ. ებისტ. წყ., I: ქართული ებისტოლარული წყაროების კორპუსი, I, ქართული ებისტოლარული წყაროები XVს. 1762წ., შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მ. ბერძენიშვილმა, თბილისი, 1989.

კარაბ., I: კარაბადინი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, I, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ, თბილისი, 1986.

კარაბ., II: კარაბადინი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, II, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ, თბილისი, 1989.

თეიმ. I: თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934.

არჩ. I: არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. I, ალ ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1936.

სამ.ძეგლ., I: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1963.

KETEVAN GIGASHVILI

Some Questions of Version Category Formation in the Middle Georgian

S u m m a r y

Already learnt material showed us the peculiarities of formation of version category in the middle Georgian. A. Shanidze considers several verbs as un-conductive in modern Georgian, but the differences between them is surrounded only with its formation. Semantically they are identical. Such kind of pairs are: **vican** / **vscan** ("I recognized"), **gamovican** / **gamovscan** ("I guessed"), **ševizel** / **ševzel** ("I could"). It shows us that the form and concept are quite different from each other in the middle Georgian. The same may be said about the **i-** prefix (**šciḳazma**(to be equipped), **šciqara**(to be met), **dainišna**(to be engaged), **izebneba**(to be searched), **gamoicada** (to be examined) type passive, which are sometimes used as active ones. From the viewpoint of version category, they create the opposite pairs with accordance of un-prefix forms, but this type of opposition is rather weak, and its interchangeable cases are observable in different manuscripts.

The formation of **a-** prefix and un-prefix neutral double version forms is very interesting. (**ganamzada** / **ganhmzada**, **ganaxvnes** / **ganxvnes**, **gangakrdzalos** / **gangkrdzalos**, **sheagbo** / **shehgbo** and others) which proves that there are very many lingual expressive means and he uses them actively. Internal potential of language, its unfinished recourses are seen from the Middle Ages. This is the period when the old data and the new Georgian shapes are gathered together. In the formation of category the peculiarities of the transitional period are expressed.